საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
CONSTITUTIONAL COURT OF GEORGIA

N 01/610
10/12/2024

610-01-2-202412101326

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის – თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინებასთან დაკავშირებით

– ეს გზა ღვთისმშობლის ტაძართან მიმიყვანს?
– ეს ვარლამის ქუჩაა. ეს გზა ტაძართან არ მიგიყვანს.
– არა? მაშ, რა საჭიროა იგი?!

ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეებმა საკუთარ განსხვავებულ აზრს თენგიზ აბულაძის ფილმის, „მონანიების“, ეს პასაჟი დაურთეს და რიტორიკულად დასვეს კითხვა, „რის მაქნისია გზა, თუ კი ტაძართან არ მიმიყვანს, რა სიკეთე მოაქვს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც თავს არიდებს კითხვებზე პასუხის გაცემას და პრობლემების გადაჭრას?“[1]

სამწუხაროდ, სწორედ აღნიშნული პასაჟით მიწევს საკონსტიტუციო სასამართლოს 2024 წლის 29 ნოემბრის №3/7/1848,1849 განჩინებასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრის დაწყება: რისთვის არსებობს საკონსტიტუციო სასამართლო, თუ იგი უარს ამბობს საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე?

№1848 და №1849 კონსტიტუციურ სარჩელებზე დავა შეეხებოდა დემოკრატიული საზოგადოების არსებობის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, კენჭისყრის ფარულობისა და საარჩევნო უფლების საყოველთაობის კომპონენტებს. ხსენებული უფლებებით სათანადო სარგებლობა წარმოადგენს

[1] იხ., ჩეხეთის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 მაისის Pl.US.32.21.1 საქართველოზრივ აქტზე თანდართული განსხვავებული აზრი, ხელმისაწვდომია https://nalus.usoud.cz:443/Search/GetText.aspx?sz=Pl-32-21_1

საქართველო, ბათუმი,
6010, კ. გამსახურდიას ქ. №8-10,
ტელ.: (+995422) 27 00 99
ფაქსი: (+995422) 27 42 10
E-mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

Batumi, Georgia
8 – 10, K. Gamsakhurdia Str., N 6010
Tel. (+995422) 27 00 99
Fax: (+995422) 27 42 10
E – mail: const@constcourt.ge
www.constcourt.ge

მოქალაქეთა არჩევანის თავისუფლების და, შესაბამისად, ხალხის მიერ ხელისუფლების განხორციელების კრიტიკულ წინაპირობას. ამდენად, მოცემული საქმის სათანადოდ განხილვა და გადაწყვეტა დემოკრატიის დაცვისა და განმტკიცებისათვის ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე საკითხი იყო.

ამავე დროს, საქმეზე წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებდა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, ხმის მიცემის პროცესში, როგორც მინიმუმ, ხშირ შემთხვევაში, დამკვირვებლისათვის, გარკვეული ხარისხით, იდენტიფიცირებადი იყო, გააკეთა თუ არა არჩევანი მოქალაქემ ან/და რომელ კანდიდატს მისცა/არ მისცა ხმა ამომრჩეველმა.

ხმის მიცემის პროცესის კანონიერება შეფასდა საერთო სასამართლოების მიერ და დადგინდა, რომ კენჭისყრა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით წარიმართა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც სადავო ნორმებს იღებს და აფასებს იმ შინაარსით, რომელიც მას საერთო სასამართლოებმა მიანიჭეს, უდავოდ დადგენილად უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ხმის ფარულობის დარღვევის შესაძლო შემთხვევები მომდინარეობდა კანონმდებლობიდან.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრებული იყო საარჩევნო კანონმდებლობის მომწესრიგებელი ნორმების ფართო სპექტრი. კერძოდ, ნორმები, რომლებიც განსაზღვრავდა კენჭისყრის ფარულობის ჩარჩოს, კენჭისყრის პროცედურას, ბიულეტენის ფორმასა და შევსების წესს. სასარჩელო მოთხოვნა უბრალოდ არ ტოვებდა სივრცეს, რათა სასამართლოს მოსარჩელის მიერ მითითებული პოტენციური პრობლემა სადავო ნორმების მიღმა ეძებნა. შესაბამისად, ერთმნიშვნელოვანია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე წარმოდგენილი იყო სწორად ფორმულირებული სასარჩელო მოთხოვნა, რომელიც სადავო ნორმების (ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც მათ საერთო სასამართლოებმა შესძინეს) კონსტიტუციურობის სათანადოდ შეფასებას მოითხოვდა.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე გადასაწყვეტი იყო საქმე, რომელიც, თავისი მნიშვნელობით, საკონსტიტუციო სასამართლოში ათწლეულების მანძილზე შეიძლება ერთხელ დადგეს დღის წესრიგში. სასამართლო ვალდებული იყო სრულყოფილად გამოეკვლია სადავო საკითხები, მოესმინა მხარეებისათვის და მიეღო გადაწყვეტილება, რომელიც არჩევნების და, ზოგადად, საარჩევნო პროცესისადმი მოქალაქეთა ნდობას აღადგენდა და გააძლიერებდა.

აღნიშნულის ნაცვლად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამოიკვლია საქმეში არსებული არგუმენტაცია და მტკიცებულებები და სარჩელები განსახილველად არ მიიღო სათანადო დასაბუთების გარეშე. მოპასუხე მხარესთან კითხვაც კი არ

დასმულა იმასთან დაკავშირებით, რით იყო ნაკარნახევი მოსარჩელეთა მიერ მითითებული პრობლემები. ჩემი შეთავაზების საწინააღმდეგოდ, საქმის განხილვა მოხდა ზეპირი მოსმენის გარეშე, მაშინ, როდესაც, საკანონმდებლო ჩარჩო, ისევე, როგორც საქმის პრაქტიკული ასპექტები იძლეოდა მისი ფორსირების გარეშე, ზეპირი განხილვით, სათანადო გამოკვლევის შედეგად, გადაწყვეტის შესაძლებლობას.

კონსტიტუციურ სარჩელებში წარმოდგენილი იყო მტკიცებულებები და არგუმენტაცია, რომლებიც თვალნათლივ წარმოაჩენდა კანონმდებლობიდან მომდინარე, კონსტიტუციური უფლებების დარღვევის რისკებს. ამავე დროს, კონსტიტუციურ სარჩელებში დასმული საკითხები იდენტიფიცირებული იყო იმდენად ცხადად, რომ მათი აღქმა რთული არ უნდა ყოფილიყო არა მხოლოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე იურისტებისთვის, არამედ ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლისთვის. სასამართლოს უბრალოდ უნდა დაენახა და შინაარსობრივად შეეფასებინა სარჩელებში წარმოდგენილი არგუმენტაცია და მტკიცებულებები, რაც მან არ გააკეთა. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითად უარი თქვა კონსტიტუციური კონტროლის, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული შეკავებისა და ბალანსის სისტემაში მისი იმანენტური ფუნქციის, განხორციელებაზე.

1. კენჭისყრის ფარულობა

1.1. კენჭისყრის ფარულობა – უფლების არსი და მიზანი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება პირდაპირ და უშუალო კავშირშია საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლით განმტკიცებულ დემოკრატიის პრინციპთან და ამ უფლების შეუფერხებლად განხორციელება მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილების პრაქტიკულ რეალიზებას, რამდენადაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა მონაწილეობას სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 25 სექტემბრის №3/3/1526 გადაწყვეტილება საქმეზე ა(ა)იპ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ახალი პოლიტიკური ცენტრი“, ჰერმან საბო, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე და ანა ჩიქოვანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპის მოთხოვნაა, რომ ხალხის სახელით მოქმედი სახელმწიფო ორგანოების ლეგიტიმაცია, უშუალოდ სამართლიან საარჩევნო პროცესში, თითოეული მოქალაქის თავისუფალი თვითგამორკვევის შედეგად დაფიქსირებული ნებისგან მომდინარეობდეს. შესაბამისად, თანამედროვე დემოკრატიულ და პლურალისტურ წესწყობილებაში არჩევნები არის ის მექანიზმი, რომელიც სახალხო სუვერენიტეტის რეალიზაციის

შესაძლებლობას ქმნის. თავის მხრივ, სახალხო სუვერენიტეტის იდეის თანახმად, საქართველოს თითოეული მოქალაქე ირჩევს რა წარმომადგენელს, საკუთარ ძალაუფლებას გადასცემს მას და ამით აძლევს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების, სახელმწიფოს მართვის ლეგიტიმაციას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2-3).

2. საარჩევნო უფლების ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილია აქტიური საარჩევნო უფლება, რომლის სათანადო განმტკიცების გარეშე, წარმოუდგენელია სახალხო სუვერენიტეტის სრულყოფილი რეალიზება. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არჩევნები არის ხელისუფლების ფორმირების საწყისი ეტაპი, როდესაც საფუძველი ეყრება მოქალაქესა და ხელისუფლებას შორის ნდობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე აქტიური საარჩევნო უფლების სათანადოდ დაცვას, ხშირ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი აქვს არჩეული ხელისუფლების მიმართ მოქალაქეთა დამოკიდებულების, მათდამი ლეგიტიმურობის განცდის ჩამოყალიბების/განახლების თვალსაზრისით (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 22 დეკემბრის №3/6/813 გადაწყვეტილება საქმეზე „ალექსანდრე მელქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10).

3. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები არის დემოკრატიის აუცილებელი, *conditio sine qua non* წინაპირობა, იგი შეიცავს ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების მქონე ჯგუფების მიერ პროცესების მანიპულირებისა თუ ბოროტად გამოყენების რეალურ საფრთხეებს. საარჩევნო პერიოდში ყოველთვის არსებობს მოტივაცია და რისკი, რომ ცალკეულმა პირებმა თუ ჯგუფებმა მოინდომონ ამომრჩევლის ნების თავისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა. ამ პერიოდში, ამომრჩეველზე არაპირდაპირი გავლენის საფრთხე შეიძლება, მომდინარეობდეს როგორც იმ მოქალაქეებისგან, რომელთაც აქვთ ინდივიდუალური შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში, თუმცა სურთ, სხვა ამომრჩეველთა ნებაზე ზეგავლენის მოხდენაც, აგრეთვე მათგან, ვისაც ასეთი უფლება არ აქვთ და შესაძლოა, წარმოადგენდნენ გარე ძალების ინტერესებს. ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფო ხელისუფლების ფორმირებაში დაუშვებელია არაპირდაპირი გავლენები, კონტროლი თუ ზეწოლა მესამე პირთა მხრიდან, რათა არ მოხდეს ხელისუფლების წყაროს, ხალხის ერთიანი ნების გამრუდება/ფალსიფიცირება და, შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგეს ხელისუფლების ორგანოების ლეგიტიმაცია და მათთვის

გადაცემული სახალხო სუვერენიტეტის ავთენტურობა, მისი ნამდვილი ბუნება.

4. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის გარემოება, რომ წარმომადგენლობით დემოკრატიაში არსებობს პროცესებით მანიპულირების რეალური რისკი, რამაც შესაძლოა, თავად პლურალისტურ, დემოკრატიულ მმართველობას შეუქმნას საფრთხე. საარჩევნო პროცესებზე არაპირდაპირი გავლენის საფრთხის აღკვეთის მიზანი, უპირველესად, არის იმის უზრუნველყოფა, რომ არჩევნების შედეგებში ასახული ხალხის ნება და მის შესაბამისად გადაცემული სახალხო ლეგიტიმაცია იყოს თავისუფალი ინდივიდების მიერ, პირად და არა სხვათა წარმოდგენების შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილებების შედეგი. საქართველოს კონსტიტუცია აღნიშნული მიზნის მისაღწევად განამტკიცებს არა მხოლოდ არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობისა და ნების თავისუფლად გამოვლენის უფლებას, არამედ მისი პრაქტიკული რეალიზებისთვის განსაზღვრავს ცალკეულ გარანტიებს და ხელისუფლებას უდგენს შესაბამის ვალდებულებებს. არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფის უმთავრეს გარანტიას კენჭისყრის ფარულობა წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პარლამენტი აირჩევა ფარული კენჭისყრით.

5. კენჭისყრის ფარულობის გარანტია, უპირველესად, მოიაზრებს ინდივიდუალური ამომრჩევლის მიერ გამოხატული ნების ნებისმიერი ფორმით გაუმჟღავნებლობას და წარმოადგენს არჩევანის თავისუფლების დაცვის ქვაკუთხედს. პირის მიერ დაფიქსირებული ნების გამჟღავნებისგან დაცვის კონსტიტუციური მოთხოვნის თანახმად, ამომრჩეველს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული შესაძლებლობა, ხმა მისცეს ისე, რომ მისი არჩევანი არ გახდეს ცნობილი სხვა პირთათვის, როგორც არჩევნების მიმდინარეობისას, აგრეთვე კენჭისყრის დასრულების შემდეგ. კენჭისყრის ფარულობა მიზნად ისახავს, დაიცვას ამომრჩევლის თვითგამორკვევის თავისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, როგორც ერთ-ერთი მოქალაქე, მონაწილეობს ხალხის ერთიანი ნების ჩამოყალიბებასა და სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებაში. იმავდროულად, სწორედ ფარულობის პირობებში ეძლევა ამომრჩეველს შესაძლებლობა, გადაწყვეტილება მიიღოს დამოუკიდებლად, გარე სოციალურ-ეკონომიკური ზემოქმედებისა თუ ჩარევისგან მაქსიმალურად თავისუფალ გარემოში. ამ მხრივ, სწორედ კენჭისყრის ფარულობა ქმნის ფუნდამენტურ გარანტიას და მნიშვნელოვნად აზღვევს გადაწყვეტილების მიმღებ პირს მის წინააღმდეგ მიმართული უკანონო ქმედებებისგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კენჭისყრის ფარულობის პრინციპი არის წარმომადგენლობითი დემოკრატიის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი,

რომლის გარეშეც საფრთხე ექმნება დემოკრატიული სახელმწიფოს არსსა და, შესაბამისად, არჩეული ხელისუფლების ლეგიტიმურობას.

6. როგორც აღინიშნა, კენჭისყრის ფარულობის უმთავრესი ფუნქციაა, უზრუნველყოს ამომრჩეველთა არჩევანის თავისუფლება. შესაბამისად, იგი მოიაზრებს არა მხოლოდ ფარულობის ფორმალურ გარანტიას, არამედ ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნის ვალდებულებას, რომელშიც ამომრჩეველს ექნება განცდა, გარანტია, რომ მას არჩევანის თავისუფლად, ფარულად გაკეთება შეუძლია. საქართველოს კონსტიტუცია საკანონმდებლო ორგანოს აკისრებს ვალდებულებას, უზრუნველყოს საარჩევნო კანონმდებლობის იმგვარად ჩამოყალიბება, რომ პრაქტიკულად იყოს გამორიცხული იმის გამჟღავნება, ამომრჩეველმა მისცა თუ არა და ვის მისცა/არ მისცა ხმა. დემოკრატიული მმართველობისთვის აუცილებელია, რომ ამომრჩეველს არა მხოლოდ ფორმალურად ჰქონდეს, თავისუფალი ნების საფუძველზე, ფარულ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება, არამედ რეალურად გააჩნდეს განცდა და რწმენა იმისა, რომ შეუძლია არჩევანის აბსოლუტურად დამოუკიდებლად გაკეთება და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ გამჟღავნდება. სხვა შემთხვევაში, კენჭისყრაში დაფიქსირებული არჩევანის გასაჯაროების შიშმა შესაძლოა, გამოიწვიოს როგორც მოქალაქეთა მხრიდან საკუთარი ნების თვითკონტროლი, აგრეთვე მისაღები გადაწყვეტილების მიმართ გაზარდოს მესამე პირთა მიერ ზეგავლენის მოხდენის რეალური საფრთხე.

1.2. კენჭისყრის პროცესში ფარულობის დარღვევის დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები

7. მოსარჩელე მხარისათვის პრობლემური იყო სადავო ნორმების საფუძველზე საარჩევნო პროცესის იმგვარი ადმინისტრირება, რომლის ფარგლებშიც პირის მიერ გამოხატული ნება აღქმადი ხდებოდა სხვა, მესამე პირებისთვის. კერძოდ, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ საარჩევნო ბიულეტენზე დაფიქსირებული (გაფერადებული ან/და მონიშნული) მარკერის კვალის ბიულეტენის უკანა მხარეს ასახვის და, შესაბამისად, საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას, მისი ხილვადობის შედეგად, დაირღვა არჩევნების ფარულობის პრინციპი.

8. 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს პარლამენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, ამომრჩეველი, საარჩევნო ბიულეტენის შევსების შემდგომ, მას სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, ათავსებდა ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში იმგვარად, რომ ბიულეტენის წინა მხარე მოქცეოდა ქვემოთ. საარჩევნო

ბიულეტენზე ამომრჩეველი აფერადებდა ან/და ნიშნავდა საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების წინ არსებულ შესაბამის წრეს. №1848 კონსტიტუციურ სარჩელზე წარმოდგენილია არაერთი ფოტო და ვიდეო მასალა, რომელიც ასახავს სხვადასხვა საარჩევნო უბანზე მიმდინარე საარჩევნო პროცესის ცალკეულ ეტაპს, მაგალითად, როგორიცაა, ბიულეტენის მოთავსების პროცესი ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში, ასევე საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცედურა. მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ვიზუალური მასალის ანალიზის საფუძველზე, იდენტიფიცირებადია სპეციალური მარკერის კვალის საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს ასახვის არაერთი ფაქტი. მაგალითად, აღნიშნულს ადასტურებს კონსტიტუციურ სარჩელზე წარმოდგენილი ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტის ვიდეო რეპორტაჟი, რომლის ფარგლებშიც, იგი, როგორც ამომრჩეველი, აფერადებს საარჩევნო ბიულეტენს და პროცედურის დაცვით ათავსებს ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ ელექტრონულ აპარატში. მოცემულ შემთხვევაშიც, ვიდეოჩანაწერში ჩანს საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს გადასული მარკერის კვალი. მსგავსი ფაქტობრივი გარემოება იკვეთება მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილ, ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ მიერ მომზადებულ ვიდეო მასალაშიც. ამდენად, სარჩელზე თანდართული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ საარჩევნო პროცესში გამოყენებული სპეციალური მარკერი ტოვებდა ვიზუალურად აღქმად, ხილულ კვალს არა მხოლოდ ბიულეტენის წინა, არამედ, ასევე მის უკანა მხარეს.

9. მოსარჩელე მხარე ასევე მიუთითებდა, რომ ჩარჩო-კონვერტი ვერ უზრუნველყოფდა არჩევნების ფარულობის პრინციპის დაცვას, რამდენადაც საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ აპარატში მოთავსებისას ხილული ხდებოდა ბიულეტენზე დატანილი მარკირების მონიშვნა და, შესაბამისად, ამომრჩევლის ნება. გარდა ამისა, ამომრჩევლის მიერ გამოხატული არჩევანი ხილული ხდებოდა მაშინაც, როდესაც სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან აბრუნებდა საარჩევნო ბიულეტენს.

10. სადავო არ არის, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე გამოყენებული სპეციალურ ჩარჩო-კონვერტი საარჩევნო ბიულეტენთან შედარებით იყო მომცრო ზომის და, ძირითადად, ფარავდა საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალს. შესაბამისად, იგი ვერ უზრუნველყოფდა ბიულეტენის სრულ დაფარვას. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენს მოათავსებდა ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ბიულეტენის მიმღებ ჭრილთან, აპარატი ავტომატურად იღებდა ბიულეტენს.

მიუხედავად იმისა, რომ ხმის მთვლელი სპეციალური ელექტრონული აპარატი საარჩევნო ბიულეტენს იღებს სწრაფად, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები (მაგალითად, ონლაინ გამოცემა „პუბლიკას“ მიერ გადაღებული ვიდეოჩანაწერი) ცხადყოფს, რომ ამ პროცესში შეუიარაღებელი თვალით, ვიზუალურად აღქმადია მასზე დაფიქსირებული მარკერის (შესაბამისი საარჩევნო სუბიექტის გაფერადების) კვალი. იმის გათვალისწინებით, რომ საარჩევნო ბიულეტენზე საარჩევნო სუბიექტთა ჩამონათვალი მათი საარჩევნო ნომრების შესაბამისად იყო განლაგებული, საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს ასახული კვალი, როგორც მინიმუმ, მესამე პირისთვის იდენტიფიცირებადს ხდიდა, რომელ საარჩევნო სუბიექტს არ მისცა, ან, ცალკეულ შემთხვევაში, რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ამომრჩეველმა ხმა.

11. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ არჩევნების ფარულობის დარღვევა შესაძლოა, გამოეწვია სპეციალური ელექტრონული აპარატის მიერ საარჩევნო ბიულეტენის უკან დაბრუნებას, რა დროსაც, სრულად ხდებოდა ხილული გაფერადებული საარჩევნო სუბიექტი. ხაზგასასმელია, რომ ამგვარი შემთხვევა არათუ ტექნიკურად გამორიცხული არ არის, არამედ მის პრაქტიკაში რეალიზებას თავად უშვებს კანონმდებლობა. კერძოდ, „კენჭისყრის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების წესისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილების დანართის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატი უკან დააბრუნებს საარჩევნო ბიულეტენს, შესაძლებელია მისი ხელმეორედ მოთავსება ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში.

12. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, ცალკეული საარჩევნო პროცედურის, მათ შორის, საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსების პროცედურის, ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთათვის მოამზადა ნორმატიული სახის ინსტრუქცია. კერძოდ, „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის ელექტრონული საშუალებებით განსახორციელებლად საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ივლისის №28/2024 დადგენილებით დამტკიცებულ დანართში აღნიშნულია საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველი კომისიის წევრის მიერ ამომრჩევლისათვის აპარატში

საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების წესის შემდეგი განმარტება: „საარჩევნო ბიულეტენი, სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით, აპარატში მოათავსეთ იმგვარად, რომ ბიულეტენის მხარე, რომელზეც განთავსებულია საცდელი წრე, მოექცეს ქვემოთ. ჩარჩო-კონვერტი დაიკავეთ მსუბუქად, რათა აპარატმა მარტივად მიიღოს საარჩევნო ბიულეტენი. დაელოდეთ, ვიდრე აპარატის ეკრანზე არ გამოჩნდება შეტყობინება „თქვენი ხმა მიღებულია“ და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვეთ კენჭისყრის შენობა“. იმავდროულად, ამავე ინსტრუქციაში აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების სანიმუშოდ მითითებულ ფოტოსურათზე ჩარჩო-კონვერტი იმგვარად არის მოთავსებული სპეციალური ელექტრონული აპარატის მიმღებთან, რომ აპარატის მიმღებსა და ჩარჩო-კონვერტს შორის რჩება თვალსაჩინო სივრცე, რომლის ფარგლებშიც, აპარატის მიერ ბიულეტენის ავტომატურად მიღების დროს თვალნათლივ ჩანს ბიულეტენის უკანა მხარე.

13. ხაზგასასმელია ისიც, რომ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სახელმძღვანელო ინსტრუქციის გარდა, საარჩევნო პროცესში ელექტრონული საშუალებების გამოყენების თაობაზე საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, კენჭისყრის დღეს განსახორციელებელი მოქმედებების თაობაზე, ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით, მოამზადა საინფორმაციო ხასიათის ვიდეორგოლები და განახორციელა იმიტირებული ხმის მიცემის აქტივობები. ორივე შემთხვევაში, საარჩევნო ადმინისტრაცია გასცემდა იდენტურ ინსტრუქციას ჩარჩო-კონვერტის საშუალებით საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსების მეთოდთან მიმართებით. მაგალითად, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ცესკოს საინფორმაციო ვიდეორგოლისა და ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში ცესკოს თავმჯდომარის მიერ წარმართული საცდელი ხმის მიცემის პროცედურის მიმდინარეობიდან ირკვევა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია ამომრჩეველს არ აძლევდა ინსტრუქციას ჩარჩო-კონვერტის ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მიმღებთან ახლოს/მჭიდროდ მოთავსებასთან ან/და ბიულეტენის მიმღებში მოთავსების პროცესის პარალელურად მის სინქრონულად მიდევნებასთან/მიყოლებასთან დაკავშირებით. პირიქით, საინფორმაციო ვიდეორგოლში ასახულია, რომ ამომრჩეველი სტატიკურად აფიქსირებს ჩარჩო-კონვერტს აპარატის მიმღებთან ისე, რომ, ელექტრონულ აპარატსა და ჩარჩო კონვერტს შორის არსებული სივრცის გათვალისწინებით, მოთავსების პროცესში, ჩანს ბიულეტენის უკანა მხარე. იმავეს ადასტურებს ტელეკომპანია „ფორმულას“ ეთერში განხორციელებული სადემონსტრაციო ჩვენება, რომლის ფარგლებშიც, ცესკოს თავმჯდომარე ამომრჩეველს მიუთითებს, რომ მსუბუქად დაიკავოს ჩარჩო-კონვერტი და მოათავსოს

აპარატის ჭრილში. მოცემულ შემთხვევაშიც, საარჩევნო ბიულეტენის მოთავსების პროცესში, ჩანს ბიულეტენის უკანა მხარე.

14. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ საარჩევნო ბიულეტენის, სპეციალური მარკერის, ჩარჩო-კონვერტისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის მახასიათებლების გათვალისწინებით, საარჩევნო ბიულეტენზე დაფიქსირებული ამომრჩევლის ნება, საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში ცესკოს მიერ განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად მოთავსებისას, ხილული ხდებოდა სხვა, მესამე პირებისთვის.

15. ამ თვალსაზრისით, ასევე გასათვალისწინებელია, რომ კენჭისყრის შენობის მოწყობის განმსაზღვრელი და კენჭისყრის პროცესის მომწესრიგებელი ნორმები ამომრჩეველს მარტო ტოვებს მხოლოდ კენჭისყრის კაბინაში, საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას. ხმის მიცემის პროცედურის არცერთ სხვა ეტაპზე, მათ შორის, საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას, არათუ არ გამოირიცხება პროცესზე დაკვირვება, არამედ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ სპეციალურად განსაზღვრავს აღნიშნული უფლებამოსილების მქონე სუბიექტს. კერძოდ, დასახელებული კოდექსის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამკვირვებელს უფლება აქვს, კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში, შეუზღუდავად გადაადგილდეს საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, ნებისმიერი ადგილიდან დაუბრკოლებლად დააკვირდეს კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს. გარდა დამკვირვებლისა, საარჩევნო პროცესზე ზედამხედველობასა და კონტროლს ახორციელებენ საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე სხვა პირებიც, მაგალითად, შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლები. მეტიც, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2023 წლის 6 თებერვლის №7/2023 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ კენჭისყრის დღეს, საარჩევნო ყუთისა და ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის ზედამხედველობის პირდაპირი ვალდებულება გააჩნია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს. ამავე დადგენილების თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტების დანიშნულებისამებრ გამოყენებაზე ზედამხედველი პირი ეხმარება ამომრჩეველს, იმ შემთხვევაში, თუ იგი თავად ვერ ახერხებს სპეციალური ჩარჩო-კონვერტის საშუალებით აპარატში საარჩევნო ბიულეტენის მოთავსებას.

16. შესაბამისად, ირკვევა, რომ პირებს, რომლებიც უშუალოდ აკვირდებოდნენ საარჩევნო ბიულეტენის ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებულ აპარატში მოთავსებას, გააჩნდათ შესაძლებლობა, დაკვირვების მიზნით, ადგილი დაეკავებინათ საარჩევნო ყუთის მიმდებარედ, დისტანციის დაცვის მოთხოვნის დაუცველად და დამატებითი აღჭურვილობის ან ზედმეტი ძალისხმევის გაწევის გარეშე, დაკვირვებოდნენ და დაენახათ, თუ როგორი იყო კონკრეტული ამომრჩევლის მიერ გამოხატული ნება.

17. ხაზგასასმელია ისიც, რომ დამკვირვებელს გააჩნდა შესაძლებლობა, დაკვირვებოდა ნებისმიერი ამომრჩევლის ხმის მიცემის პროცედურის თითოეულ ეტაპს თანმიმდევრულად, ვერიფიკაციის პროცედურიდან საარჩევნო ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსების პროცედურის ჩათვლით. სხვაგვარად, საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე ნებისმიერ პირს შეეძლო, შეემოწმებინა ამომრჩევლის ვინაობა (ვერიფიკაციის პროცესის დაკვირვებით), ხოლო შემდეგ, თვალყური ედევნებინა მის მიერ უშუალოდ ხმის დათვლის აპარატში ბიულეტენის მოთავსების პროცესისთვის.

18. ამასთანავე, გარდა ინდივიდუალური დაკვირვებისა, საარჩევნო პროცესზე კონტროლი შესაძლოა, განხორციელებულიყო ტექნიკური საშუალების გამოყენებით, კერძოდ, ფოტო-ვიდეო გადაღების გზით. საარჩევნო პროცესის გამჭვირვალეობის უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე, კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, ფოტოვიდეოგადაღების წარმოების უფლებას. საარჩევნო პროცესის გადაღების წესებს განსაზღვრავს „ზოგიერთი საარჩევნო პროცედურის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 24 სექტემბრის №42/2012 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, მათ შორის, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას, უფლება აქვთ, საარჩევნო უბანზე პირველი ამომრჩევლის მოსვლის პერიოდიდან ბოლო ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის პერიოდის განმავლობაში: ა) აწარმოონ უწყვეტი ფოტოვიდეოგადაღება სტაციონალური ვიდეოგადამღები აპარატის მეშვეობით, კომისიის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ადგილიდან, იმგვარად, რომ ჩანდეს საარჩევნო ყუთი; ბ) ერთი და იგივე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებას, უფლება აქვს, ერთჯერადად, არაუმეტეს 10 წუთისა, აწარმოოს ფოტოვიდეოგადაღება საარჩევნო უბანზე. იმ შემთხვევაში, თუ მას სურს აწარმოოს გადაღება 10 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ვალდებულია

დაიკავოს სპეციალურად გამოყოფილი ადგილი. კენჭისყრის ფარულობის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული წესებიდან გამონაკლისს ადგენს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, რომლის 58-ე მუხლის მე-6 პუნქტი კრძალავს კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღებას.

19. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, შესაძლებელი იყო, როგორც სტატიკურად მდგომი ვიდეო კამერებით, ასევე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლების მიერ საარჩევნო უბნის სხვადასხვა ადგილიდან განხორციელებულიყო ძირითად საარჩევნო ყუთზე დამონტაჟებული ხმის დათვლის სპეციალური ელექტრონული აპარატის გადაღება და, შედეგად, მასში ბიულეტენის მოთავსების პროცესის ასახვა. ამ მხრივ, მოსარჩელე მხარემ წარმოადგინა სხვადასხვა საარჩევნო უბნის ამსახველი ფოტო-ვიდეო მასალა, რომლებიც ადასტურებს, რომ აღნიშნული შესაძლებლობა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების დღეს არაერთხელ პრაქტიკულად რეალიზდა. მათ შორის, ცალკეულ უბანზე ფოტოვიდეოგადაღება წარმოებდა იმგვარად, რომ უშუალოდ ასახავდა ბიულეტენის ხმის მთვლელ აპარატში მოთავსების პროცესს.

20. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ცალსახა უნდა ყოფილიყო, რომ სადავო ნორმების საფუძველზე წარმართულ კენჭისყრის პროცესში: ა. არსებული ბიულეტენისა და მარკერის პირობებში ბიულეტენის უკანა მხრიდან ხილული იყო ამომრჩევლის მიერ გაფერადებული/მონიშნული წრე; ბ. ჩარჩო კონვერტით ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას დროის გარკვეულ ინტერვალში ხილული იყო ამომრჩევლის მიერ გაფერადებული/მონიშნული ადგილი; გ. საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლების მქონე პირს შეეძლო ამომრჩევლის იდენტიფიცირებისა და ხმის მიცემის პროცესის დაკვირვება; დ. უბანზე დაშვებული იყო ფოტოვიდეოგადაღება, რომელსაც შესაძლოა, დაეფიქსირებინა ბიულეტენის ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსების პროცესი. აღნიშნული გარემოებები, ნებისმიერ ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, რომ კენჭისყრის პროცესი, როგორც მინიმუმ, ამომრჩეველს უტოვებდა მის მიერ მიცემული ხმის შესაძლო გამჟღავნების განცდას.

1.3. საერთო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

21. ზემოხსენებული კენჭისყრის პროცესის კანონთან შესაბამისობა გასაჩივრდა საერთო სასამართლოებში. საქმეზე წარმოდგენილია საერთო

სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო, ერთი მხრივ, ეჭვქვეშ არ აყენებს ზემოხსენებული ფაქტების სისწორეს, მეორე მხრივ კი, საარჩევნო კანონმდებლობასთან შესაბამისად ცნობს (გარდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რომელიც გაუქმებულ იქნა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ) ჩატარებულ კენჭისყრის პროცესს.

22. მაგალითად, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მითითებით, „წარმოდგენილი ვიდეო-მასალით დასტურდება გარკვეულ შემთხვევებში საარჩევნო ბიულეტენის მეორე მხარეს მარკერის გადასვლის კვალი, აღნიშნული შესაძლებელია ვიზუალურად შესამჩნევი იყოს ბიულეტენის ხმისმთვლელ აპარატში მოთავსების პროცესში, დროის უმცირეს მონაკვეთში, რა დროსაც შეუძლებელია იმის დადგენა, ვის მისცა ხმა ამომრჩეველმა. აღსანიშნავია, რომ ეს იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, როდესაც ამომრჩეველი ბიულეტენის კონვერტს განათავსებს გარკვეული მანძილით აპარატის მიმღებიდან. ამ მომენტს შეიძლება შეესწროს კომისიის ის წევრი, რომელიც უშუალოდ ხმის მთლელ აპარატთან იმყოფება და მისი ფუნქციაა საჭიროების შემთხვევაში დახმარების გაწევა ამომრჩევლისთვის, ბიულეტენის აპარატში მოთავსებაში“ (ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/638-24, 7.3.). საარჩევნო ბიულეტენზე მარკერის კვალის ასახვის შესაძლებლობა არ უარყო არც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ. სასამართლოს განმარტებით, „მარკერის კვალი არ იძლეოდა ამომრჩევლის ნების იდენტიფიცირების საშუალებას, კერძოდ, თუ კონკრეტულად რომელ საარჩევნო სუბიექტს მისცა ამომრჩეველმა ხმა. შესაბამისად, საარჩევნო ბიულეტენის უკანა გვერდზე ე.წ „გაფერადებული წრის კვალის“ გამოჩენა, სადავოდ გამხდარ საარჩევნო უბნებზე ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაშიც კი, არ წარმოადგენს კენჭისყრის ფარულობისა და ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპის დარღვევას“ (თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/8255-24, 7.4.). სპეციალური მარკერის კვალის საარჩევნო ბიულეტენის მეორე მხარეს ასახვის თაობაზე ავითარებს პოზიციას სენაკის რაიონული სასამართლოც. სასამართლოს განმარტებით, „მიუხედავად იმისა, ზოგიერთ შემთხვევაში აისახება თუ არა ხმის მიცემის კვალი ბიულეტენის უკანა მხარეს, ჩარჩო კონვერტი წარმოადგენს დამცავ მექანიზმს სწორედ ამგვარი საფრთხეებისგან“ (სენაკის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/83, 7.2.).

23. თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილების თანახმად, „გამოკვლეული მტკიცებულებებით დადგინდა, რომ გონივრულობის ფარგლებში, უმეტეს შემთხვევებში, შეუძლებელია ამომრჩეველმა წარმოდგენილი ბიულეტენის, მარკერის და ჩარჩო კონვერტის მეშვეობით გამოხატული ნება (გაფერადებული/გაუფერადებელი, მონიშნული/მოუნიშნავი ბიულეტენი) ისე მოათავსოს ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში, რომ სრულად გამორიცხული იქნეს მისი ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. აღნიშნული დადასტურდა სხდომის დარბაზში მხარეების და სასამართლოს მონაწილეობით ჩატარებულ მტკიცებულებათა გამორკვევის პროცესში, როდესაც რამდენიმე ფარულად მონიშნული საარჩევნო ბიულეტენების სხვადასხვა პირების მიერ ხმის დათვლის სპეციალურ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას აპარატთან მდგომი მხარეებისთვის ცნობილი გახდა ბიულეტენის თუ რა ნაწილი იყო გაფერადებული“ (თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2024 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე №3/62-24 (3/63-24), 6.).

24. მაშასადამე, საერთო სასამართლოთა განმარტებები ადასტურებს ამომრჩევლის მიერ გამოხატული ნების ბიულეტენის ორივე მხარეს ასახვის ფაქტს ან, მინიმუმ, აღნიშნულის შესაძლებლობას. შესაბამისად, როგორც სასამართლოთა განმარტებებით, ასევე მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ვიზუალური მტკიცებულებებით, დასტურდება, რომ საარჩევნო ბიულეტენზე დატანილი მონიშვნა აისახებოდა მის უკანა, ცარიელ მხარეს, რომელიც ბიულეტენის ხმის მთვლელ ელექტრონულ აპარატში მოთავსებისას, მოქცეული იყო ზემოთ (საჩვენებელ მხარეს).

25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნეს არსებითად განსახილველად, აუცილებელია, მოსარჩელე მხარემ მოახდინოს მის მიერ გასაჩივრებული ნორმიდან მომდინარე უფლების შემზღუდველი წესის იდენტიფიცირება. იმავდროულად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, „ნებისმიერი ნორმატიულად დადგენილი ქცევის წესი სიცოცხლისუნარიანი ხდება სასამართლოს პრაქტიკაში და მისი საშუალებით. სასამართლო ხელისუფლება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ორგანოთა არქიტექტურაში არის ის სახელისუფლებო შტო, რომელიც საბოლოო სიტყვას ამბობს კანონმდებლობის განმარტებისა და გამოყენების თაობაზე“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის №1/4/693,857 გადაწყვეტილება საქმეზე „„ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-49). საქართველოს საკონსტიტუციო

სასამართლოს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „საერთო სასამართლოები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, იღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას კანონის ნორმატიულ შინაარსთან, მის პრაქტიკულ გამოყენებასთან და, შესაბამისად, მის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულ განმარტებას აქვს დიდი მნიშვნელობა კანონის რეალური შინაარსის განსაზღვრისას. საკონსტიტუციო სასამართლო, როგორც წესი, იღებს და იხილავს საკანონმდებლო ნორმას სწორედ იმ ნორმატიული შინაარსით, რომლითაც იგი საერთო სასამართლომ გამოიყენა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 4 მარტის №1/2/552 გადაწყვეტილება საქმეზე „სს „ლიბერთი ბანკი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16).

26. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმის შინაარსის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკითა და განმარტებებით (იხ., მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 29 დეკემბრის №2/3/1337 გადაწყვეტილება საქმეზე „ხათუნა წოწორია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 18 აპრილის №1/3/1263 გადაწყვეტილება საქმეზე „ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის №3/7/679 გადაწყვეტილება საქმეზე „„შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №1/10/703 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 ივლისის №2/2/656 გადაწყვეტილება საქმეზე „სს “სილქ როუდ ბანკი” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

27. ამდენად, კონსტიტუციურ სარჩელში, ერთი მხრივ, წარმოდგენილი იყო კენჭისყრის პროცესში ფარულობის პოტენციური დარღვევის ამსახველი მტკიცებულებები. ამავე დროს, დადასტურებული იყო, რომ პროცესი წარიმართა საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად, ვინაიდან საერთო სასამართლოს მოსამართლეებმა კანონიერად ცნეს იგი. აღნიშნული თავისთავად მიუთითებდა, რომ საკონსტიტუციო სამართალწარმოების მიზნებისათვის სასამართლოს უნდა მიეჩნია, რომ კენჭისყრის პროცესის ამ ფორმით ჩატარება გამომდინარეობდა კანონის მოთხოვნებიდან (იმ ნორმატიული შინაარსიდან, რომელიც მათ შესძინა საერთო სასამართლოებმა), რაც აშკარას ხდიდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ

არჩევნების მომწესრიგებელი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისობასთან დაკავშირებით შინაარსობრივი მსჯელობის საჭიროებას. აღნიშნულის საპირისპიროდ, ჩემმა კოლეგებმა, სადავო ნორმების შინაარსის გაანალიზების გარეშე, უბრალოდ, მიუთითეს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული პრობლემები მათგან (სადავო ნორმებისგან) არ მომდინარეობს, რაც, ერთი მხრივ, არ შეესაბამება სიმართლეს, მეორე მხრივ, კი საკონსტიტუციო კონტროლის განხორციელებაზე უარის თქმას უთანაბრდება.

1.4. სადავო ნორმების შინაარსის ანალიზი

28. №1848 და №1849 კონსტიტუციურ სარჩელებზე სადავოდ არის გამხდარი არჩევნების მომწესრიგებელი სხვადასხვა ნორმა. უპირველეს ყოვლისა, მოსარჩელე ასაჩივრებს ნორმებს, რომლებიც განსაზღვრავს ხმის მიცემის ფარულობის სტანდარტებს. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ადგენს, რომ საქართველოს პარლამენტის არჩევნები ტარდება ფარული კენჭისყრით და აკრძალულია ხმის მიცემის ფარულობის დარღვევა. სწორედ ხსენებული ნორმა განსაზღვრავს, რას გულისხმობს კანონის მიზნებისათვის ხმის მიცემის ფარულობა და ადგენს მარეგულირებელ ჩარჩოს, თუ როდის ჩაითვლება იგი დარღვეულად. უფრო დეტალურად, თუ რა იგულისხმება ხმის მიცემის ფარულობაში, საქართველოს კანონმდებლობით რეგლამენტირებული არ არის.

29. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გამყარებული ფაქტების კანონთან შესაბამისობის შეფასების პროცესში, საერთო სასამართლოებმა დაადგინეს, რომ ხსენებული სადავო ნორმა, ფარულობის კანონით დადგენილი მოთხოვნის დარღვევად არ განსაზღვრავს ხმის მიცემის პროცესის იმგვარად წარმართვას, რომლის ფარგლებშიც, ბიულეტენის უკანა მხრიდან იდენტიფიცირებადია ამომრჩევლის მიერ მონიშნული წრე, ჩარჩო კონვერტით ბიულეტენის ხმის დათვლის აპარატში მოთავსებისას, დროის გარკვეულ ინტერვალში, შესაძლებელია ამომრჩევლის მიერ გაკეთებული არჩევანის აღქმა და, ამავე დროს, ხორციელდება ამ პროცესის ვიდეოგადაღება და საარჩევნო უბანზე მყოფი პირის მიერ ვიზუალური დაკვირვება. ხსენებული ნორმით განსაზღვრული ფარულობის მოთხოვნის შინაარსთან დაკავშირებით განსხვავებული დასკვნის გაკეთების შემთხვევაში, საერთო სასამართლოები უკანონოდ ცნობდნენ კენჭისყრის პროცესს. საერთო სასამართლოების მიერ გაკეთებულმა აღნიშნულმა სამართლებრივმა შეფასებებმა შესძინა სადავო ნორმებს სწორედ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც არაკონსტიტუციურად იყო მიჩნეული მოსარჩელეთა მიერ და რომლის

იდენტიფიცირება/შეფასება უნდა განეხორციელებინა საკონსტიტუციო სასამართლოს.

30. საკონსტიტუციო სასამართლო ფაქტობრივად მიუთითებს, რომ, სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შესაფასებლად, საჭირო იყო ფარულობის პოტენციური დარღვევის შესაძლებლობა პირდაპირ, სახელდებით ყოფილიყო გაწერილი კანონმდებლობით. თუმცა, საკონსტიტუციო კონტროლის მიზნებისათვის, არსებითად ერთი და იგივეა ფარულობის დარღვევის შესაძლებლობას სახელდებით შექმნის კანონი, თუ ხსენებულს განაპირობებს სადავო ნორმით დადგენილი ფარულობის ზოგადი წესისათვის საერთო სასამართლოების განმარტების შედეგად მინიჭებული შინაარსი. ორივე შემთხვევის ფარგლებში, იდენტიფიცირებული შინაარსი წარმოადგენს მოქმედი კანონმდებლობის ნაწილს, რომლის კონსტიტუციურობის შეფასება საკონსტიტუციო სასამართლოს ფუნქციასა და ვალდებულებას წარმოადგენს.

31. შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლო ვალდებული იყო, არსებითი განხილვის ფორმატში, განეხილა საქმე და დაედგინა კანონით განსაზღვრული კენჭისყრის ფარულობის პირობები რამდენად პასუხობდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ კენჭისყრის ფარულობის მოთხოვნებს. კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითი განხილვის ფორმატში უნდა გამოეკვლია მხარეთა პოზიციები და შეეფასებინა, ხომ არ არსებობდა რაიმე გარემოება, რომელიც ამომრჩევლის ხმის ფარულობასთან დაკავშირებით საერთო სასამართლოების განმარტების შედეგად წარმოშობილ რისკებს გაამართლებდა.

32. ასევე არასწორია ჩემი კოლეგების მითითება იმასთან დაკავშირებით, თითქოს, არჩევნების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში პრობლემა რომც არსებობდეს, მოსარჩელემ არასწორი ნორმები გაასაჩივრა. მოცემულ საქმეზე სადავო იყო არა მხოლოდ კენჭისყრის ფარულობის საკითხის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები, არამედ, ასევე კენჭისყრის პროცესის მომწესრიგებელი და ბიულეტენის ფორმისა და შევსების წესის განმსაზღვრელი დებულებები. ჩემმა კოლეგებმა კი, ფაქტობრივად, მიუთითეს, რომ ბიულეტენზე „მელანის გაჟონვის“ გამო გამოწვეული პრობლემები არც ფარულობის, არც ხმის მიცემის პროცესის მომწესრიგებელ და არც თავად გამოყენებული ტექნიკური საშუალებების განმსაზღვრელ წესებს არ ეხება და მოსარჩელეს პრობლემა სხვა, ზოგად ნორმებში უნდა ეძებნა.

33. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საერთო სასამართლოების მიერ დადგინდა, რომ, ამომრჩევლის ნების გამჟღავნების რისკების მიუხედავად, კენჭისყრის პროცესი კანონის შესაბამისად წარიმართა, ხოლო,

საკონსტიტუციო სასამართლო სადავო ნორმების შინაარსის არასწორ გაგებაზე მითითებით, უარს ამბობს შეაფასოს კანონის ის შინაარსი, რომელმაც განაპირობა კენჭისყრის ზემოხსენებული ფორმით ჩატარება. შედეგად, ვიღებთ ვითარებას, რომლის ფარგლებშიც, არ ხდება შეფასება, ზემოთ ხსენებულ პირობებში ჩატარებული კენჭისყრა, პასუხობს თუ არა კენჭისყრის ფარულობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს.

1.5. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი შეზღუდვის გავრცელება მოცემულ საქმეზე

34. კიდევ ერთი საკითხი, რომელზე მსჯელობაც, საქმის არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე, შეიძლება, საკონსტიტუციო სასამართლოსთვის გამხდარიყო რელევანტური, ეხება საარჩევნო წლის ფარგლებში არჩევნების თვემდე 15 თვეზე მეტი დროით ადრე მიღებული არჩევნების მომწესრიგებელი სადავო ნორმების კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილებას. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „დაუშვებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა შესაბამისი საარჩევნო წლის განმავლობაში, თუ ეს ნორმა შესაბამისი არჩევნების თვემდე 15 თვის განმავლობაში არ არის მიღებული“. საქართველოს კონსტიტუციის დასახელებული დებულება ზღუდავს არჩევნების მომწესრიგებელ კანონმდებლობაში ისეთი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობას, რომელთა კონსტიტუციურობაზე დავაც შესაძლებელი იყო არჩევნების თვემდე 15 თვით ადრეც. აღნიშნული კონსტიტუციური გადაწყვეტა უზრუნველყოფს საარჩევნო გარემოს სტაბილურობას და პროცესის დადგენილ ვადებში შეუფერხებლად წარმართვას, რაც უმნიშვნელოვანესია თავისუფალი, თანასწორი და სამართლიანი არჩევნების ჩატარებისთვის და სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების გონივრულ ვადებში ფორმირებისთვის.

35. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2022 წლის 4 ნოემბრის №3/6/1392 განჩინებაში, ავტონომიურად განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მითითებული დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლები. დასახელებულ განჩინებაში, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ამა თუ იმ სადავო ნორმის ნამდვილი არსი და მოქმედების რესურსი, მათ შორის, მისი არაკონსტიტუციურად წაკითხვის პოტენციალი და შინაარსი შესაძლოა, გამოვლინდეს ნორმის პრაქტიკაში გამოყენების შედეგად. შესაბამისად, არ გამოირიცხება ისეთი სიტუაცია, როდესაც არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის გამოყენება საარჩევნო წლის განმავლობაში ხდება იმ შინაარსით, რომელიც არ იყო ობიექტურად

განჭვრეტადი კეთილსინდისიერი მოსარჩელისათვის. საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი, რომლის მიზანიც არის საარჩევნო გარემოს სტაბილურობის დაცვა, ბუნებრივია, ვერ შეზღუდავს ისეთი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებას, რომელიც თავად არის არასტაბილურობის წყარო. სხვა განმარტების შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლოსათვის ობიექტურად წინასწარ განუჭვრეტელი სადავო ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურად ცნობის შესაძლებლობის შეზღუდვა, თავად კონსტიტუციის ხსენებული დებულების მიზნისა და სულისკვეთების საწინააღმდეგო იქნებოდა. გარდა ამისა, საარჩევნო პროცესს დატოვებდა საკონსტიტუციო კონტროლის მიღმა და მოსარჩელეს წაართმევდა უფლების დაცვის ეფექტიან მექანიზმს. სწორედ ამიტომ, საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტის მიზნებისათვის, საარჩევნო კანონმდებლობის წინასწარ განუჭვრეტელი შინაარსით გამოყენება კანონის ახალი ნორმის მიღების იდენტურია. ამდენად, საარჩევნო წლის განმავლობაში შესაძლოა, დავა მხოლოდ არჩევნების მომწესრიგებელი ისეთი ნორმების კონსტიტუციურობაზე, რომლებიც მიღებულია არჩევნების თვემდე 15 თვით ადრე ან/და რომელთა წინასწარ განუჭვრეტელი შინაარსი ხსენებულ პერიოდში გამოვლინდა (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 4 ნოემბრის №3/6/1392 განჩინება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8-11).

36. მიუხედავად იმისა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, კენჭისყრის ფარულობასთან დაკავშირებული მთელი რიგი სადავო ნორმები არ მიღებულა 2024 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებამდე 15 თვის ვადაში, აღნიშნული ფაქტი, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, არ წარმოადგენდა სასამართლოსთვის ხელშემშლელ გარემოებას, რათა შეეფასებინა მოსარჩელეთა მიერ სადავოდ გამხდარი ნორმათა შინაარსის კონსტიტუციურობა. ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, სადავო ნორმა იმგვარად იყოს ფორმულირებული, რომ, კეთილსინდისიერი წაკითხვისას, პირმა ობიექტურად ვერ შეძლოს მასში კონსტიტუციის საწინააღმდეგო შინაარსის ამოკითხვა, თუმცა ამა თუ იმ ნორმის ნამდვილი არსი და მოქმედების რესურსი შესაძლოა, გამოვლინდეს სწორედ ნორმის პრაქტიკაში გამოყენებისას. განსახილველი საქმის ფარგლებში, მოსარჩელე მხარეები გასაჩივრებული ნორმების იმ ნორმატიულ შინაარსს ხდიდნენ სადავოდ, რომელიც უკავშირდება 2024 წლის 26 ოქტომბერს ელექტრონული ტექნოლოგიებით ჩატარებულ არჩევნებს. აღნიშნული ტექნოლოგიით არჩევნების ჩატარებისას, კენჭისყრის ფარულობის ნიშანთვისებები წარმოადგენდა სიახლეს, ხოლო, როგორც უკვე აღინიშნა, საარჩევნო

სუბიექტებისა და დამკვირვებელი ორგანიზაციების მოლოდინი იყო, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კენჭისყრის ფარულობის დაცვისთვის მიღებული იქნებოდა ყველა აუცილებელი ზომა. ამასთან ერთად, ცხადია, საერთო სასამართლოების მიერ განსაზღვრული სადავო ნორმების გასაჩივრებული ნორმატიული შინაარსი, კერძოდ, ის, რომ სპეციალური მარკერის კვალის საარჩევნო ბიულეტენის მეორე მხარეს ასახვის და აღნიშნულის სხვა პირის მიერ ვიზუალურად აღქმის შესაძლებლობის ფაქტი არ ჩაითვლებოდა კენჭისყრის ფარულობის დარღვევად, სადავო ნორმების ტექსტიდან, მათი შინაარსიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი მოსარჩელისთვის ობიექტურად ვერ იქნებოდა განჭვრეტადი საერთო სასამართლოების მიერ შესაბამისი დავების გადაწყვეტამდე. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული არჩევნების მომწესრიგებელი ნორმის კონსტიტუციურობის შეფასების უფლებამოსილების ფარგლები, განსახილველ შემთხვევაში, არ ზღუდავდა საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციას, რამდენადაც გასაჩივრებული ნორმების წინასწარ განუჭვრეტელი შინაარსის კონსტიტუციურობაზე დავა შესაძლებელი არ იყო უფრო ადრე. აღსანიშნავია, რომ სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის არგუმენტად, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტზე არც საკონსტიტუციო სასამართლოს მიუთითებია №3/7/1848,1849 განჩინებაში.

37. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი არ ზღუდავდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელების სასარჩელო მოთხოვნის ამ ნაწილში არსებითად განსახილველად მიღებასა და გადაწყვეტას.

1.6. სასამართლოს მიერ საქმის არსებითად არ გადაწყვეტის გავლენა მომავალში ჩასატარებელ არჩევნებზე

38. როგორც უკვე აღინიშნა, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები საზოგადოებაში ერთმნიშვნელოვნად აჩენს მნიშვნელოვან კითხვებს 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე კენჭისყრის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით. ამავე დროს, საერთო სასამართლოებმა ცალსახად დაადასტურეს, რომ პროცედურა საარჩევნო კანონმდებლობის შესაბამისად წარიმართა. ამ პირობებში, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განუხილველობა და, ფაქტობრივად, შინაარსობრივად არაფრის გადაწყვეტა საფრთხეს უქმნის საქართველოში მომავალში ჩასატარებელი არჩევნების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობას.

39. იმის გათვალისწინებით, რომ არ მომეცა საქმეზე საარჩევნო ადმინისტრაციის პოზიციის მოსმენის შესაძლებლობა, ჩემთვის რთულია

გადაჭრით მტკიცება, თუ რა პოზიცია ექნებოდა მათ მოსარჩელეთა მიერ მითითებული პრობლემების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით, თუმცა საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები მიუთითებს, რომ არსებული პრობლემის შესახებ კენჭისყრამდე იყო ცნობილი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიისათვის. კერძოდ, №1848 კონსტიტუციურ სარჩელს თან ერთვის ა(ა)იპ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ 2024 წლის 17 სექტემბრის წერილი, რომელშიც იგი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას განუმარტავდა, რომ საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს მარკირების სითხე ტოვებდა კვალს. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ შეფასებით, დასახელებული ხარვეზი წარმოადგენდა მნიშვნელოვან გამოწვევას, რომელიც პირდაპირ გავლენას მოახდენდა არჩევნების ფარულობის პრინციპზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ორგანიზაცია ითხოვდა ინფორმაციას საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან, თუ რა ნაბიჯები გადაიდგა ან რა ნაბიჯების გადადგმა იგეგმებოდა მათი მხრიდან. 2024 წლის 28 სექტემბრის №01-01/1607 წერილით, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ორგანიზაციას აცნობა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გამართულ სასწავლო-საინფორმაციო შეხვედრებზე გამოყენებული საარჩევნო ბიულეტენი იყო სატესტო ვერსია და, შესაბამისად, კენჭისყრის დღეს გამოყენებული ბიულეტენის ხარისხი იქნებოდა განსხვავებული, რაც უზრუნველყოფდა ფარულობის დაცვას.

40. გარდა ამისა, მოსარჩელე მხარემ წარმოადგინა ერთ-ერთი სატელევიზიო გადაცემის ჩანაწერი, რომელშიც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მოქალაქეს უხსნის ხმის მიცემის პროცედურას. ხმის მიცემის მოდელირების ფარგლებში, მონაწილე პირი – ამომრჩეველი შენიშნავს საარჩევნო ბიულეტენის უკანა მხარეს მარკერის კვალის გამოჩენის ფაქტს, რის თაობაზეც საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ საარჩევნო ბიულეტენზე მარკირების კვალის ხილვადობა განაპირობა ამომრჩევლის მხრიდან სპეციალურ მარკერზე ზედმეტმა დაჭერამ. ამდენად, თუ, ერთ შემთხვევაში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ პრობლემის გამომწვევ მიზეზად საარჩევნო ბიულეტენის სატესტო ვერსია დაასახელა, მეორე შემთხვევაში, მარკერის კვალის ხილვადობა მან დაუკავშირა სპეციალური მარკერის გამოყენების წესს. თუმცაღა, ზემოთ აღწერილი ორივე შემთხვევა ცხადყოფს, რომ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე სრულად იყო ინფორმირებული მარკერის კვალის ხილვადობაზე.

41. ამდენად, საქმეზე წარმოდგენილია საკმარისი მტკიცებულებები, იმისათვის, რომ, როგორც მინიმუმ, მაღალი ალბათობით, ვივარაუდოთ, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული პრობლემები გამოწვეულია არა საარჩევნო ადმინისტრაციის შეცდომით, არამედ წინასწარ გააზრებული ქმედებებით. ამავე დროს, ჩატარებული კენჭისყრის კანონთან შესაბამისობა უკვე დადასტურებულია საერთო სასამართლოების მიერ. შესაბამისად, არაფერი მიუთითებს, რომ, საკანონმდებლო ცვლილებების გარეშე, მომავალი არჩევნები იქნება სხვაგვარად ადმინისტრირებული.

42. 2024 წელის 26 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნები საზოგადოებაში უდავოდ აჩენს საფუძვლიან ეჭვს კენჭისყრის ფარულობასთან დაკავშირებით. ამავე დროს, როგორც უკვე აღინიშნა, კენჭისყრის ფარულობის უმთავრესი ფუნქცია არჩევანის თავისუფლების დაცვაა, რაც, უპირველეს ყოვლისა, უზრუნველყოფილია ამომრჩეველთათვის რწმენის ჩამოყალიბებით, გარანტიის მიცემით, რომ მისი სურვილის გარეშე ვერავინ ვერ გაიგებს გააკეთა თუ არა არჩევანი და თუ გააკეთა – ვის სასარგებლოდ. საზოგადოების მიერ ხსენებული რწმენის დაკარგვის შემთხვევაში, ამომრჩეველთა ნების კონტროლის თვალსაზრისით, ყოველი მომდევნო არჩევნები იქნება უფრო და უფრო მძიმე. შესაბამისად, სადავო ნორმებს გააჩნია პოტენციალი, რომ სამომავლოდ ფაქტობრივად გააქროს არჩევანის თავისუფლების იდეა.

43. ამ ფონზე, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული დემოკრატიული ღირებულებებისთვის დამატებითი რისკის შემცველია ჩემი კოლეგების გადაწყვეტილება, რომლებმაც არ გამოიკვლიეს რამდენად რეალური იყო მოსარჩელეთა მიერ მითითებული პრობლემები. შესაძლებელი იყო თუ არა სამომავლოდ არჩევნების ფარულობასთან დაკავშირებული კითხვების გაქარწყლება სათანადო ბიულეტენისა და მარკერის გამოყენებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამოუკვლევია, რა ტიპის დამატებით ძალისხმევას საჭიროებდა ამომრჩეველი, რომ უზრუნველეყო სპეციალურ ელექტრონულ აპარატში საარჩევნო ბიულეტენის ფარულობის პრინციპის დაცვით მოთავსება ან, ზოგადად, შესაძლებელი იყო თუ არა საშუალო სტატისტიკურ ამომრჩეველს ემოქმედა იმგვარად, რომ უზრუნველეყო საკუთარი არჩევანის ფარულობა. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ შეუფასებია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მხრიდან, ფარულობის შესაძლო დარღვევის თაობაზე, მათი წინასწარი ინფორმირებულობის ფაქტის გათვალისწინებით, რამ განაპირობა საარჩევნო პროცესის სადავოდ გამხდარი ფორმით რეგულირება/ადმინისტრირება. ხომ არ იყო აღნიშნული ნაკარნახევი ტექნოლოგიური საჭიროებებით, სხვაგვარად – რამდენად შეეძლო საარჩევნო ადმინისტრაციას საარჩევნო პროცესის ორგანიზება

ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ისე, რომ მოეხდინა მარკერის კვალის იდენტიფიცირების რისკების პრევენცია.

44. ამდენად, საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ საქმის სათანადოდ გამოუკვლევობამ და საქმეზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიუღებლობამ, არა მხოლოდ ვერ გააქარწყლა კითხვები 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების კონსტიტუციურობასთან დაკავშირებით, არამედ ასევე ხელი შეუწყო, ზოგადად, საქართველოში ყოველი მომდევნო არჩევნების თავისუფალ გარემოში ჩატარების შესაძლებლობის ეჭვქვეშ დაყენებას. მოცემულ შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციური სარჩელები არ მიიღო არსებითად განსახილველად მაშინ, როდესაც საქმეზე წარმოდგენილი იყო სადავო ნორმების მოქმედების შედეგად გამოწვეული პრაქტიკული პრობლემების არაერთი მტკიცებულება. ამ ფონზე, ბუნებრივია, ძნელად წარმოსადგენია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, სამომავლოდ, აბსტრაქტული კონტროლის ფარგლებში, იმსჯელებს ხსენებულ საკითხზე და საქმის სრულყოფილი გამოკვლევების შედეგად დაადასტურებს ან/და გააქარწყლებს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებულ კითხვებს.

2. საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა

45. მოსარჩელე მხარისთვის, ასევე პრობლემური იყო საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობის საკითხი. კერძოდ, მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდიდა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ მე-3 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის, 32-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნის შექმნის დამატებითი ვადისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ოქტომბრის №51/2024 დადგენილებისა და „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულების კონსტიტუციურობას საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტთან, მე-2 პუნქტთან და მე-3 პუნქტის პირველ წინადადებასთან, 24-ე მუხლის პირველ პუნქტთან და 37-ე მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით. სადავო ნორმების არაკონსტიტუციურობის წარმოსაჩენად მოსარჩელე მხარე აღნიშნავდა, რომ საზღვარგარეთ ცესკომ ვერ/არ უზრუნველყო საარჩევნო უბნების

საქართველოს მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილთან ახლოს გახსნა, რის გამოც მათთვის ხელმიუწვდომელი გახადა არჩევნებში მონაწილეობა.

46. დემოკრატია თავისი საწყისი, საბაზისო არსით ხელისუფლების განხორციელებაზე მოქალაქეების წვდომას მოიაზრებს. „დემოკრატია, უშუალო გაგებით, გულისხმობს რა ხალხის მმართველობას, შესაბამისად, ის, თავისთავად, გულისხმობს მოქალაქეთა უფლებას, მიიღონ მონაწილეობა ხელისუფლების როგორც ფორმირებაში, ისე განხორციელებაში. ... დემოკრატია, პირველ რიგში, სწორედ სახალხო სუვერენიტეტის რეალიზებით ვლინდება, რადგან ხალხის მონაწილეობა ხელისუფლების განხორციელებაში არის დემოკრატიის ძირითადი არსი, საფუძველი და მიზანი“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-9).

47. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები დემოკრატიის ქვაკუთხედს წარმოადგენს. „არჩევნები არის ერთგვარი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს დემოკრატია. იმისათვის, რომ შედგეს «ხალხის მმართველობა», ხალხმა უნდა მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკაში და ამის საუკეთესო გზა არჩევნებია. არჩევნები თავისთავად აჩენს განცდას და რწმენას ადამიანებში, რომ ისინი უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში (ირჩევენ რა თავის რჩეულებს ან თავად არიან არჩეული)“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის №1/1/493 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8). მხოლოდ აქედან გამომდინარეობს დემოკრატიულ სისტემათა სხვა ნიშან-თვისებები.

48. ამავდროულად, არჩევნებს შეუძლია, გააძლიეროს დემოკრატია, ქვეყნის განვითარება, ადამიანის უფლებები და უსაფრთხოება, ან პირიქით – არათანასწორ და უსამართლო არჩევნებს შეუძლია ძირი გამოუთხაროს მას. ხელისუფალს იმ შემთხვევაში გააჩნია ლეგიტიმაცია და მოქმედებაშია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, როცა გადაწყვეტილებათა მიმღებნი შერჩეულნი არიან თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების საშუალებით. არჩევნები უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი სუბიექტების მიერ სახელმწიფო თანამდებობის დაკავებას ხალხის ნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, „არჩევნები რომ კონსტიტუციის შესაბამისად ჩაითვალოს ... უნდა უზრუნველყოს ამომრჩევლის ნების ადეკვატური ასახვა“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - სალომე

ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-10).

49. მოქალაქეთა ნების ნათელი გამოვლინების უზრუნველსაყოფად, დემოკრატიულ სახელმწიფოებში არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არჩევნების საყოველთაობაა, რაც გულისხმობს მოქალაქეთა საყოველთაო ჩართულობას აქტიური საარჩევნო უფლების განხორციელებაში. წარმომადგენლობითი ორგანოს საყოველთაო არჩევნების გზით ფორმირების პრინციპს სახელდებით განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუციაც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტი აღიარებს ყველა მოქალაქის უფლებას, 18 წლის ასაკიდან მიიღოს მონაწილეობა რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი აირჩევა „საყოველთაო, თავისუფალი, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით“, 4 წლის ვადით. საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, „სწორედ კონსტიტუციური სტანდარტების შესაბამისი, თავისუფალი, საყოველთაო და თანასწორი არჩევნები წარმოადგენს დემოკრატიული სისტემის საყრდენს“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 მაისის №1/3/547 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები უჩა ნანუაშვილი და მიხეილ შარაშიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2).

50. არჩევნების საყოველთაობის პრინციპის რეალიზებისათვის საკმარისი არ არის, ამომრჩეველს, საარჩევნო უბნის გახსნის გზით, ფორმალურად მიეცეს ხმის მიცემის საშუალება. ამავე დროს, აუცილებელია, რომ ამ უფლების რეალიზება მოხდეს გაუმართლებელი დაბრკოლებების გარეშე. სახელმწიფომ უნდა მიიღოს ქმედითი ზომები იმისათვის, რომ ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა პირმა შეძლოს ამ უფლების გამოყენება. ამომრჩეველთა ხმების ადეკვატური ასახვა მანდატებში ეფექტური დემოკრატიის დამახასიათებელი პრინციპია და, შესაბამისად, უპირველესი მნიშვნელობისაა. ხელისუფლებას იმიტომ მორჩილებენ, რომ ის საერთო, აღიარებული წესების მიხედვით მოიპოვებს გამარჯვებას. აღნიშნული უფლების სათანადო რეალიზაცია ქმნის მართვის გრძელვადიან პერსპექტივებს, სტაბილურ, ლეგიტიმურ და ეფექტიან დემოკრატიულ სისტემას.

51. უცხო ქვეყანაში მყოფი საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში ჩართვა უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეებმა შეინარჩუნონ კავშირები

საკუთარ ქვეყანასთან და აძლიერებს მათ კუთვნილების გრძნობას იმ ერისადმი, რომლის წევრებიც ისინი არიან, მიუხედავად გეოგრაფიული თუ სხვა ფაქტორებისა. წინამდებარე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უფლების მნიშვნელობა. თუმცა, №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები ხსენებულ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად დაუსაბუთებლობის მოტივით. საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ „ამა თუ იმ ადგილას საარჩევნო უბნის გაუხსნელობა, თავისთავად, საარჩევნო უფლების დარღვევაზე არ მიუთითებს. უფლების დარღვევა შესაძლოა, სახეზე იყოს იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ სახელმწიფოს, გონივრული რესურსების გაწევის პირობებში, ჰქონდა შესაძლებლობა, საზღვარგარეთ მოეხდინა საარჩევნო გეოგრაფიის უფრო ფართო დაფარვა, დამატებით ლოკაციებზე საარჩევნო უბნების გახსნა არჩევნების სათანადოდ ორგანიზების პირობით და მან ეს არ განახორციელა. სწორედ ხსენებული გარემოება უნდა ყოფილიყო სათანადოდ დასაბუთებული კონსტიტუციურ სარჩელში“ (იხ., №3/7/1848,1849 განჩინების სამოტივაციო ნაწილის მე-4 პარაგრაფი).

52. ვიზიარებ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრების მიერ განჩინებაში გამოთქმულ პოზიციას, რომ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნის გახსნა და არჩევნების სათანადოდ ორგანიზება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ტექნიკურ და ადამიანურ რესურსებთან. თუმცა, საარჩევნო ხმის მიცემის უფლებიდან მომდინარე სახელმწიფოს უპირველესი ვალდებულება არის არა თავშეკავება და ჩაურევლობა, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების უმრავლესობაში, არამედ პოზიტიური ზომების მიღება დემოკრატიული არჩევნების ჩატარების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოა საარჩევნო უფლების სრულფასოვნად რეალიზების გარანტი, სწორედ მან უნდა უზრუნველყოს არჩევნების, როგორც დემოკრატიის მაცოცხლებელი ინსტრუმენტის გამართული ფუნქციონირება. არჩევნებში მონაწილეობის ხელმისაწვდომობა არ არის პრივილეგია, დემოკრატიულ სახელმწიფოში პრეზუმფცია არსებობს არჩევნებში საზოგადოების ჩართვის სასარგებლოდ. შესაბამისად, საერთო მოსახლეობის ნებისმიერი ჯგუფისათვის/კატეგორიისათვის ხმის უფლებით სარგებლობაზე დაწესებული ბარიერები უნდა შეესაბამებოდეს უფლების შეზღუდვის მიზნებს. სხვაგვარი გადახვევა საყოველთაო საარჩევნო უფლების პრინციპიდან, საფრთხეს უქმნის ამგვარად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს და მის მიერ განხორციელებული ქმედებების დემოკრატიულ ლეგიტიმაციას.

53. წინამდებარე საქმეზე მოსარჩელე მხარემ წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2024 წლის 30 სექტემბრის გადაწყვეტილება (საქმე №3/7245-24), რომლითაც დასტურდება, რომ ააიპ „ამერიკის მხარდამჭერთა ლიგამ“ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემების საფუძველზე, დავალებოდა საარჩევნო უბნის გახსნის თაობაზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა 14 ქალაქში, კერძოდ: 1. ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ბრუკლინი; 2. ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ნიუ-ჯერსი; 3. ამერიკის შეერთებული შტატები, ქ. ფილადელფია; 4. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. ჰამბურგი; 5. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. დორტმუნდი; 6. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ქ. კარლსრუე; 7. საფრანგეთის რესპუბლიკა, ქ. სტრასბურგი; 8. საფრანგეთის რესპუბლიკა, ქ. მონპელიე; 9. იტალიის რესპუბლიკა, ქ. ფლორენცია; 10. იტალიის რესპუბლიკა, ქ. ნეაპოლი; 11. იტალიის რესპუბლიკა, ქ. ლეჩე; 12. იტალიის რესპუბლიკა, ქ. უდინე; 13. იტალიის რესპუბლიკა, ქ. მოდენა; 14. ესპანეთის სამეფო, ქ. არნედო. გარდა ამისა, მოთხოვნას წარმოადგენდა ყველა იმ ქალაქში საარჩევნო უბნის გახსნა, სადაც 50 და მეტი საარჩევნო უფლების მქონე მოქალაქე ცხოვრობდა. მოთხოვნის მიუხედავად, „ზოგიერთ სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნის შექმნის დამატებითი ვადისა და ამ საუბნო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 11 ოქტომბრის №51/2024 დადგენილებითა და „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნების შექმნის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 26 სექტემბრის №191/2024 განკარგულებით, საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოებში საარჩევნო უბნები შეიქმნა მხოლოდ საქართველოს დიპლომატიური მისიების მისამართების მიხედვით.

54. შესაბამისად, საზღვარგარეთ მყოფ მოქალაქეთა დიდ ნაწილს საარჩევნო უფლების რეალიზებისთვის უწევდა შორი დისტანციის (ძირითადად, რამდენიმე ასეული კილომეტრის) გავლა, რაც ართულებდა, ცალკეულ შემთხვევაში კი შესაძლოა, გამორიცხავდა ხმის უფლების რეალიზებას. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2024 წლის 10 ნოემბრის „საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის სხვა სახელმწიფოში შექმნილი საარჩევნო უბნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის“ თანახმად, სხვა სახელმწიფოში შექმნილ საარჩევნო უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა

წარმოადგენდა 95 910-ს, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა კი – 34 574-ს. არ გამოირიცხება, რომ რეგისტრირებული ამომრჩევლების დიდმა ნაწილმა (თუ უმრავლესობამ არა) არჩევნებზე მისვლა ვერ შეძლეს სწორედ გეოგრაფიული დისტანციის გამო.

55. შესაბამისად, მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდა სადავო ნორმების მიმართებას საარჩევნო უფლებასთან. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ცხადი ხდებოდა, რომ საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს შეექმნათ არა უბრალო დისკომფორტი ხმის მიცემის უფლების რეალიზების პროცესში, არამედ, ზოგ შემთხვევაში, დაუწესდათ მნიშვნელოვანი ბარიერი. მოსარჩელე მხარის მიერ საქმეზე წარმოდგენილი იყო არა რაიმე ინდივიდუალური შემთხვევა, როდესაც საზღვარგარეთ მყოფ პირს საარჩევნო უფლების რეალიზებისათვის შორი დისტანციის დაფარვა უწევდა, არამედ ხსენებულის დამადასტურებელი სისტემური პრაქტიკა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში უბნები გახსნილი იყო მხოლოდ სამ ლოკაციაზე (ქ. ნიუ იურკში, ქ. სან-ფრანცისკოსა და ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში) რაც თავისთავად განაპირობებდა, რომ ქვეყნის სამხრეთ აღმოსავლეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების საცხოვრებელი ადგილიდან საარჩევნო უბანი დაშორებული იყო 1000 კილომეტრზე მეტით.

56. აღნიშნულის მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ მიიღო №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელები არსებითად განსახილველად იმ არგუმენტზე დაყრდნობით, რომ საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნა საჭიროებდა მნიშვნელოვან ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, რისი არსებობის გონივრული შესაძლებლობაც მოსარჩელე მხარეს არ დაუსაბუთებია. საკონსტიტუციო სასამართლომ არ შეისწავლა, რა ფინანსურ ან/და ადამიანურ რესურსთან იყო დაკავშირებული უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა, ასევე არ გამოიკვლია, უცხოეთში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის არმქონე დასახლებებში, სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს რა რესურსის მობილიზების გონივრული შესაძლებლობა ჰქონდათ. მეტიც, საკონსტიტუციო სასამართლო წინამდებარე განჩინებაში თვითინიციატივით უთითებს საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების გახსნის დამაბრკოლებელ ფაქტორად ადამიანურ და მატერიალურ რესურსზე, თუმცა არ მოუსმენია საკუთრივ აქტის მიმღები ორგანოსაგან, რა იყო რიგ ქალაქებში საარჩევნო უბნების გახსნაზე უარის თქმის რეალური მიზეზი, როგორი იყო აქტის შემოქმედის ხედვა/ახსნა – მთლიანად/ნაწილობრივ უკავშირებდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მითითებულ ფაქტორს, თუ სხვა გარემოებებით იყო განპირობებული.

57. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელემ შეასრულა სარჩელის არსებითად განსახილველად მისაღებად კანონმდებლობით მისთვის წაყენებული მოთხოვნა, წარმოაჩინა, რომ სახეზე იყო ამომრჩეველთა უფლებით სარგებლობაზე მნიშვნელოვანი ბარიერის დაწესება. ხოლო, იმის შეფასება თუ რამდენად იყო ხსენებული ბარიერის დაწესება რესურსების სიმცირის ან/და სხვა ფაქტორებით ნაკარნახევი, საჭიროებს ისეთი სახის ინფორმაციის მოძიებას და ანალიზს, რომელიც ცესკოს, ამ შემთხვევაში მოპასუხეს, გააჩნია. სწორედ მოპასუხეა ყველაზე უკეთ ინფორმირებული სუბიექტი, რომ სასამართლოს აუხსნას, რამ გამოიწვია საარჩევნო უბნების ამომრჩეველთა საცხოვრებელი ადგილებიდან ამგვარი დაშორება და იყო თუ არა შესაძლებელი დამატებით ლოკაციებზე საარჩევნო უბნების გახსნა. ხსენებული ინფორმაციის/განმარტების ცესკოდან მიღების ნაცვლად, სასამართლომ, ფაქტობრივად, მოსარჩელეს დააკისრა მტკიცების ტვირთი, რომ სარჩელში დაასაბუთოს რატომ ვერ წარმოადგენს მოპასუხე მიღებული გადაწყვეტილების გონივრულობის/კონსტიტუციურობის დამადასტურებელ არგუმენტებს.

58. მიმაჩნია, რომ წინამდებარე საქმეში საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად უნდა განეხილა სარჩელები და დაედგინა, შექმნა თუ არა სახელმწიფომ უფლებით სარგებლობის სათანადო გარანტიები. საკონსტიტუციო სასამართლოს უნდა გამოეკვლია, რა ტიპის სირთულეები წარმოშვა საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების მხოლოდ საქართველოს დიპლომატიური მისიების მისამართების მიხედვით გახსნამ, რა მასშტაბის იყო საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის ხმის უფლების რეალიზების პროცესში აღნიშნული დაბრკოლება. ამავდროულად, სასამართლოს უნდა შეესწავლა, სხვა ქალაქებში საარჩევნო უბნების გახსნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის იქნებოდა უბრალოდ ადმინისტრაციული სირთულე, თუ სერიოზული, არაგონივრული ან დაუძლეველი ამოცანა. აღნიშნული საკითხების სიღრმისეული კვლევა მნიშვნელოვანია, რათა რესურსების არარსებობის საფარქვეშ არ მოხდეს საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლების საარჩევნო უფლების დამცრობა/ილუზორულად ქცევა.

59. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი შეზღუდვა, ვერც ამ შემთხვევაში შეაფერხებდა სარჩელის არსებითად განსახილველად მიღებას. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საზღვარგარეთ საარჩევნო უბნების შექმნის უფლებამოსილება დელეგირებულია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაზე, რომლის ფარგლებშიც იგი არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 30 დღით ადრე ქმნის მათ. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტი, რომლის საფუძველზეც

შეიქმნა უბნები საზღვარგარეთ და მოსარჩელის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემების წყარო გახდა, მიღებულია 2024 წლის 26 სექტემბერსა და 11 ოქტომბერს. შესაბამისად, მათ შორის საარჩევნო წელს მათი კონსტიტუციურობის შემოწმების შესაძლებლობაზე საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი პირდაპირ მიუთითებს.

60. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვერ დავეთანხმები საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის წევრებს სასარჩელო მოთხოვნის ხსენებულ ნაწილში №1848 და №1849 კონსტიტუციური სარჩელების არსებითად განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ. მიმაჩნია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს არსებითად განსახილველად უნდა მიეღო საქმე, გამოეკვლია, თუ რა მოტივით გახსნა/არ გახსნა უბნები საზღვარგარეთ ცესკომ, შეეფასებინა ის ტვირთი, რასაც სახელმწიფოსათვის დამატებითი საარჩევნო უბნების გახსნა წარმოშობდა, რესურსი, რომელიც სახელმწიფოს გააჩნდა და საქმის სრულყოფილი ანალიზის საფუძველზე მიეღო დასაბუთებული გადაწყვეტილება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე

თეიმურაზ ტულუში

ასლი დედანთან სწორია
საქართველოს საკონსტიტუციო
სასამართლოს მდივანი

გიორგი თევდორაშვილი

სასამართლოს წევრი
ხელმძღვანელობა